

დიონისეს ხელახალი დაბადების საკითხი ადრეული
ნიცშეს პერსპექტივიდან

მარიამ კიკნაველიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაკა ლაშხია, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კიკნაველიძე

27.06.2017

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მთელ პროცესში ჩართულობისა და აქტიური დახმარებისათვის, მადლობას ვუხდით ამავე ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, მაკა ლაშხიას. სწორედ მისი რჩევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე მიიღო ნაშრომმა საბოლოო სახე.

ასევე, მადლობას ვუხდით ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს გაწეული დახმარებისა და გამხნეებისათვის.

აბსტრაქტი

ქვემოთ მოცემული სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს დიონისური საწყისის ხელახალი დაბადების შესაძლებლობის წარმოჩენას. აღნიშნული კი ეყდრნობა ფრიდრიხ ნიცშეს წიგნს: „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“. სწორედ ამ წიგნში გამოთქმული მოსაზრებების გაანალიზების საფუძველზე, გამოკვეთილია ნიცშეს შეხედულება კულტურას, ტრაგედიასა და ზოგადად, ადამიანის ყოფის ფორმასთან დაკავშირებით.

კერძოდ, ნაშრომში წარმოდგენილია პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ნიცშე მოდერნული კულტურის კრიტიკის საფუძველზე, ამავე კულტურის საწყისად სოკრატეს და მის მიერ დამკვიდრებულ თეორიული ტიპის, მეცნიერულ მსოფლმხედველობის მქონე ადამიანს მიიჩნევს. აღნიშნული კი უარყოფს და გამორიცხავს ყველაფერს, რისი ლოგიკურად დასაბუთებაც შეუძლებელია ამ მიზეზით, შეუმცნებლად ცხადდება. შესაბამისად, დიონისური საწყისიც, რომელიც არავითარი ლოგიკის ფორმაში არ ჯდება, რადგან იმთავითვე მთლიანობისა და ქაოსურობის, ყოველგვარი ნორმებისა და ზღვრების, ინდივიდუაციის მოშლითაა განსაზღვრული, უარყოფილი და ჩანაცვლებულია.

ამგვარად კი ტრაგედია, რომელიც ძველ ბერძნულ კულტურაში, ხელოვნებისმიერი საწყისების: დიონისურისა და აპოლონურის „შერიგების“ - მათი ორგინალური კავშირის უკვდავყოფის ხდომილებად წარმოჩნდებოდა, უარიყოფა და მნიშვნელობას იცვლის. მეცნიერება ხელოვნებასთან ბრძოლას არა უშუალოდ როგორც მოწინააღმდეგესთან იწყებს, არამედ მას შინაგანად დაარღვევს და შეუცვლის არსს, მნიშვნელობას: საკუთარ თავისთავადობას და განსაზღვრულობას ჩამოართმევს. აღნიშნული ცვლილება კი გამოხატულია დიონისური საწყისის

დავიწყებაში, რაც ვლინდება მუსიკისა და მითოსის როლისა და მნიშვნელობის შეცვლითა და უკუგდებით.

ამდენად, მოდერნიზმი - მსგავსი კულტურის კულმინაცია, ცხადდება ყალბ და ილუზორულ კულტურად და მასში ხელოვნების როლიც, შესაბამისად, ყალბი და არახელოვნებისმიერია.

თუმცა, სოკრატული მსოფლმხედველობა, ეფუძნება რა საყოველთაო შემეცნებისა და გონების ყოვლისშემძლეობის დაშვებას, საკუთარი შესაძლებლობის საზღვართან მისული, აღმოაჩენს გერმანული მუსიკის სულს, რომელსაც ვეღარც გონებით გაიაზრებს და ვეღარც ესთეტიკურად განიცდის. ამგვარად კი, ნიცშეს აზრით, დიონისური საწყისი, გერმანული მუსიკის სულში გამოვლენილი, გამოიწვევს სოკრატული კულტურის რღვევას და ტრაგედია, რომელიც დიონისურისა და აპოლონურის ერთობის შედეგად იქმნება, კვლავ დაიბრუნებს მისთვის ჩამორთმეულ პოზიციას.

შესაბამისად, თეორიულ ადამიანს და მის მსოფლმხედველობას ჩაანცვლებს ტრაგიკული ადამიანი, მოთამაშე, ბავშვი, რომელიც ყოფის აუტანლობასა და საზარლობას ნამდვილი ხელოვნებისმიერი თამაშით: დიონისური საწყისის აპოლონური გამოხატვით, აქცევს ტრაგედიად და ამ გზით საკუთარ უსაზრისო ყოფას მხოლოდ როგორც ესთეტიკურ ფენომენს გაამართლებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ძველი ბერძნული ტრაგედია, დიონისური, აპოლონური, მუსიკა, მითოსი, სოკრატული კულტურა, ტრაგიკული კულტურა, თეორიული ადამიანი, ტრაგიკული ადამიანი, მიმეზისი, კათარზისი, ჰამარტია, თამაში, ესთეტიკა.